საწყისის სასრული და სასრულის საწყისი
შამი ადამიანთა არაადამიანურობისა

2018 წლის დეკემბრიდან, მიმდინარეობს კამპანია მესიისთვის სამეფო გვირგვინის დასამზადებლად. კამპანიის მესვეურნი იმედოვნებენ, რომ აღნიშნული გვირგვინის დამზადება დააჩქარებს „მეფის“ გამეფებას. არავისთვის საიდუმლო აღარაა, რომ ისრაელი, 2000 წლიდან ელოდება მესიის გამოჩენას და ემზადება ე.წ. მესამე ტაძრის ასაშენებლად, სადაც დაჯდება ანტიქრისტე და გააერთიანებს ყველა რელიგიის წარმომადგენელს, ყველა ერს. (ე.წ. ეკუმენისტური კავშირი).

ერთ-ერთი ნიშანი გადაგვარების არის იმ ბავშვების ახალი თაობა, რომლებიც საკუთარ მშობლებსაც კი ვერ გადაასწრებენ ასაკში სიცოცხლის ხანგრძლივობით და მითუმეტეს რომ ვერ უზრუნველყოფენ მათ პენსიით.

შემდეგი ნიშანი ისაა, რომ სახელმწიფო მოწყობის მოდელებმა, როგორიცაა სოციალიზმი, კომუნიზმი და კაპიტალიზმი, ამოწურეს თავიანთი თავი და აუცილებელია ახალი წყობის დამკვიდრება. ახალი მსოფლიო წესრიგის, (ე.წ. ანტიქრისტეს წყობის).

1994 წლის **14** სექტემბერს, **დევიდ როკფელერმა** გაერთიანებული ერების კონფერენციაზე განაცხადა, რომ ქვეყანა გლობალური ცვლილებების ცისკარზეა და იმისათვის, რომ ხალხმა ახალი წეს-წყობილება მიიღოს, სერიოზული, მნიშვნელოვანი ახალი კრიზისის გამოწვევა საჭიროა.

ინგლისის დედოფლის ქმარმა, **პრინცმა ფილიპმა** ერთხელ განაცხადა, რომ „თუ შეეძლებოდა რეინკარნაცია, ის ისურვებდა რომ დაბრუნებულიყო დედამიწაზე მომაკვდინებელი ვირუსის სახით, რათა შეემცირებინა მოსახლეობის ზღვარი დედამიწაზე.“

ცნობილი მკვლევარი **ჟაკ ივ-კუსტო**, **1994** წელს წერდა: იმისათვის რომ დავასტაბილუროდ მსოფლიო მოსახლეობა უნდა ყოველდღიურად ვანადგუროთ **350 000** მოსახლე.

გენრი კესენჯერი - მსოფლიო მოსახლეობა უნდა შემცირებულ იქნას 50%-ით.

ტედ ტორნერი - მსოფლიო მოსახლეობის **95%**-ით შემცირება, რაც **250-300** მილიონ ადამიანს უტოლდება, იქნებოდა იდეალური ვარიანტი დედამიწისთვისო.

1980 წლიდან, აშშ-ს ჯორჯიის შტატში, დგას ქვის ბლოკების **6** მეტრიანი მონუმენტი, თორმეტ ენაზე ამოტვიფრული 10 მიზნით ახალი მსოფლიო წესრიგის მისაღწევად. (ე.წ. უღმრთო ეპოქის შესაქმნელად).

1 მიზანში ვკითხულობთ: არ გადააჭარბოს მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ **500 მილიონს** და იმყოფებოდეს ბუნებასთან ჰარმონიაში.

ზემოაღნიშნული თეზისის მოქმედებაში მოყვანას, მოსახლეობის დეპოპულაციას, მავანი მესამე დონის ქვეყნებში ანხორციელებს, ომების, კრიზისის, შიმშილის და პანდემიის შექმნით.

განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების წინააღმდეგ ფარული, წყნარი დაპირისპირება მიმდინარეობს. აღნიშნულის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ**, სიკვდილამდე **7** დღით ადრე თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ „არსებობს შეთქმულება ყოველი კაცის, ქალის და ბავშვის დამონების. სანამ მე დავტოვებ ამ მაღალ და კეთილშობილ თანამდებობას, ვაპირებ გამოვააშკარავო ეს შეთქმულება“.

კონგრესმენი **ლარი მაკდონალდი** - **1983** წელს, მკვლელობამდე **3** თვით ადრე ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა როკფელერის და მისი მომხრეების მისწრაფებების შესახებ, რომ სურდათ გაეერთიანებინათ ერთი ქუდის ქვეშ სუპერ კაპიტალიზმი და კომუნიზმი და დაექვემდებარებინათ საკუთარ კონტროლს. რაც იმას ნიშნავდა, რომ არსებობდა საერთაშორისო დონის შეთქმულება, საკმაოდ ძველი დროიდან მოყოლებული და რაც მთავარია ბოროტი განზრახვის მქონე.

გეოინჟინერია - ქიმიური გზების სახე.

სიაეის (**CIA**) დირექტორი ჯონ ბრენნანი, გლობალური დათბობის შეჩერების მიზნით, დაინტერესდა გეოინჟინერიის ე.წ. ტექნოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს სტრატოსფეროში სპეციალური თვითმფრინავებით აეროიზოლაციური ნაწილაკების გაფრქვევას, რომელიც ირეკლავს მზის სხივებს და ეხმარება გლობალური დათბობისაგან თავის არიდებაში, აღნიშნული მეთოდი მისცემდათ საშუალებას, არსებული ეკონომიკური სიტუაციისთვის მოეგოთ დრო სანამ შესაძლებელი გახდებოდა ახალ უსაფრთხო ალტერნატიულ საწვავზე გადასვლა. შხამქიმიკატების გაფრქვევით, როგორიცაა ტყვია, ალუმინი, მანგანუმი, რომელიც **2007** წელს იქნა კვლევებით დადგენილი, ზეგავლენას ახდენს მოსავლიანობაზე, რადგან ალუმინის ფესვებში მოხვედრა ხეებისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა და გამოიყურება ისე თითქოს ხეები უწყლოობისგან არიან გამხმარი. ალუმინის ჟანგბადში გაზრდილმა კონცეტრაციამ, გამოიწვია ასევე, ფუტკრების დახოცვა, ხოლო ზღვაში კი თევზების და ეს ყველაფერი გლობალური დათბობის თემას ამოფარებული გეოინჟინერიის წყალობით. ხანდახან, გასული საუკუნის **1930**-იანი წლებიდან, განსაკუთრებით 40-იან წლებში, **1972** წლის ჩათვლით, ექსპერიმენტები ტარდებოდა არა მარტო ცალკეულ ინდივიდებზე, არამედ მთელ ქალაქებზეც კი, რასაც ხალხი ვერ ხვდებოდა. ჯანმრთელ ადამიანებს აშშ-ში, ნიშანდობლივ შტატ ალაბამაში, აავადებდნენ სიფილისით. ხოლო 50-იან და 60-იან წლებში, მოსახლეობაზე ცდიდნენ რადიოაქტიურ ელემენტებს (**ZnCdS**). დღეს უკვე, მსგავსი საექსპერიმენტო ცდები, ტარდება საერთაშორისო მაშტაბებში.

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები

მოსახლეობისთვის უცნობია თუ რატომაა სახიფათო გენმოდიფიცირებული პროდუქტები. უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეთა გენმოდიფიცირებისათვის გამოიყენება **4 მეთოდი: 1)** დამტვერვა; **2)** რადიაცია; **3)** ერთეული გენების გათიშვა; **4)** მცენარის არსებულ გენში, უცხო მცენარის გენის განთავსება.

ტრანსგენურ მცენარეებში შესაძლებელია არსებობდეს სხვა ცოცხალი ორგანიზმების გენებიც: ცხოველების, მწერების და თვით ადამიანისაც კი. აშშ-ში კულტურული მცენარის, როგორიცაა სიმინდი, **93%** უკვე გენმოდიფიცირებულია. ყოველი ცალკეული კვლევების დასკვნების საფუძველზე, ირკვევა რომ, გენმოდიფიცირებული პროდუქტი იწვევს იმუნური სისტემის დაქვეითებას, უნაყოფობას, ორგანოების დაზიანებას. დღეისათვის უკვე ოფიციალურად დაპატენტებულია უნაყოფობის გამომწვევი რამოდენიმე გენი, სხვადასხვა კომპანიების მიერ EPICYTE, DU PONT და MONSANTO. გამოთვლილია, რომ თუ 60 ცალ გენმოდიფიცირებულ თევზს შეუშვებთ 60 000 ბუნებრივი ჯიშის თევზში, ისინი 40 თაობის შემდეგ გაქრებიან. ქათმები რომლებიც გენმოდიფიცირებულ საკვებზე იზრდებიან, ავტომატურად ეცვლებათ გენი და ხდებიან გენმოდიფიცირებული ფრინველები, რომელთა უმრავლესობაც ბუმბულის გარეშე ვითარდება.

ფარმაკოლოგია

ფარმაკოლოგია არის კიდევ ერთი მეთოდი ადამიანებთან ჩუმად ბრძოლის, რომლის განვითარებაც როკფელერების გვარის დამსახურებაა. იგი, დღემდე ფინანსირდება ვაქცინაციის მხარდასაჭერად. მოსახლეობის ვაქცინაციის შემდეგ, ცნობილია რომ ხშირად, თავს იჩენდა ეპიდემიის მეორე ტალღა. მაგალითად ინგლისში **1867** წლიდან **1870** წლებში, ჩუტყვავილას სავალდებულო ვაქცინაციის პროცესმა მოსახლეობის **97.5%** მოიცვა. ერთი წლის თავზე კი **1871** წელს, ჩუტყვავილამ **44840** ადამიანი იმსხვერპლა. ასევე **1918** წელს გავრცელებული გრიპის ვირუსუს ე.წ. **„ესპანკას“** ფონზე, პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ყველა ჯარისკაცი, უკლებლივ იქნა აცრილი. ცხადია გრიპის ვირუსმა ისინი დაასნებოვნა და გასული საუკუნის მიწურულამდე უცნობი იყო, თუ რამ გამოიწვია ას მილიონიანი მაშტაბის, კოლოსალური ლეტალური შედეგი. აღნიშნული გრიპის, „ესპანკას“ შტამის გენეტიკურმა კვლევებმა, რომელიც **2001** წელს განხორციელდა, არ გამოავლინა სერიოზული სხვაობა დღეისათვის არსებულ ვირუსის შტამებთან მიმართებაში. მაშ რამ აქცია ესპანკა ასეთ მომაკვდინებელ ვირუსად? დღეს უკვე ვიცით რომ სიმპტომები, რომელსაც აღნიშნული ვირუსი იწვევდა უნდა გამოწვეული ყოფილიყო ტოკსინებით, რომელსაც თავად ვირუსი არ შეიცავდა. მაშ საიდან გაჩნდა მომაკვდინებელი რაოდენობის ტოკსინები? როგორც ჩვენთვის ცნობილია მოსახლეობა იმის შიშით, რომ ომიდან

დაბრუნებულ ადამიენებს შეეძლოთ ისინიც დააენფიცირებინათ, მიმართეს სამედიცინო დაწესებულებებს აცრების გასაკეთებლად და ვაქცინაში არსებულმა შხამებმა და ბაქტერიებმა, გარდაქმნეს არსებული ვირუსი მომაკვდინებელ იარაღად. **1919** წლის ზაფხულისთვის ვირუსმა არსებობა შეწყვიტა, თუმცაღა მისგან გამოწვეული დაავადებები არსად გამქრალან, მათ უბრალოდ სხვა სახელწოდებები უწოდეს.

ცნობილია ისიც, რომ ბავშვებში გაზრდილმა აცრების რაოდენობამ, არამც თუ შეამცირა დაავადებები, არამედ დამაზიანებლადაც კი იმოქმედა. **1986** წლამდე, სანამ აშშ-ს კონგრესი მიიღებდა გადაწყვეტილებას აცრების სავალდებულო ღონისძიებებად დანერგვის, კონტინენტზე **10000** ბავშზე **1** ბავშვი ავადდებოდა აუტიზმით. **1995** წლიდან სადაც აცრების კეთება უკვე რეგულარულად მიმდინარეობდა, **1000** ბავშვზე **1** ავადდებოდა აუტიზმით, ხოლო **2018** წლის მონაცემებით **59**-დან **1** ბავშვი. გამოდის რომ აცრები, იმუნური სისტემის ძალით დაქვეითებას ემსახურება.

ბილ გეიტსის კამპანია **2003** წლიდან მოყოლებული, აქტიურად ცდილობს მოსახლეობის დარწმუნებას ახალი თაობის **აცრების ეფექტურობაში** და ამავე დროს ხმამაღლა აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხი ხელს შეუწყობს შობადობის და მოსახლეობის პოპულაციის კონტროლს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი კვლევით, ფანატიკოსების ე.წ. რელიგიური ფუნდამენტალისტების გამოვლენის მიზნით, რომლის დროსაც შეისწავლიდნენ რელიგიურ და არალეგიური ადამიანებს, დაადგინეს სულიერების გენი **VMAT-2**, რომელსაც ზრდასრული ადამიანები ატარებენ და რომლის მოკვლაც ვირუსის საშუალებით აღმოჩნდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე **2005** წელს აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ, კვლევების შედეგად მიიღო და დაამტკიცა სულიერების საწინააღმდეგო აცრა, ვაქცინა, რომელიც დაეხმარებათ რელიგიური ფუნდამენტალისტების, ფანატიკოსების ე.წ. „ნორმალურ ადამიანებად“ გადაქცევაში, დამორჩილებაში. პროექტის სახელწოდება გახლდათ „პანდექს“.



<u>ტექნოლოგია 5G.</u>

გასული წლების მანძილზე, **5G** ტექნოლოგიის დანერგვას არაერთი პრესკონფერენცია მიეძღვნა აშშ-ში. მაგალითად **2019** წელს, აღნიშნული პროექტის ლობისტი, **ტომ ველერი** აცხადებდა, რომ აუცილებლად მიაჩნდათ **5G** ტექნოლოგიის დანერგვა შტატებში, რომ მათ წამყვან კომპანიებს შეენარჩუნებინათ პირველი ადგილი კონკურენტების წინაშე. აღნიშნული ტექნოლოგიის განვითარებაში მილიონობით დოლარი იქნა გამოყოფილი, რომელიც იძლევა საშუალებას ეკონმიკაში განხორციელდეს დაბანდებები და აუცილებელია მისი სასწრაფო წესით მოხმარებაში გაშვება. **ტომ ველერმა** **5G** ტექნოლოგია ნაციონალურ პრიორიტეტად შეაფასა და განაცხადა, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნებისა არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად მის უსაფრთხოებაზე წლობით კვლევების წარმოება, რადგან მომავალს თავისი

განვითარების გზა აქვს და ის არაფერმა არ უნდა შეაფერხოს, ჩვენ არ ვაპირებთ სტანდარტების შემუშავების ლოდინს და თუ მაინც ვინმე გეტყვით, რომ არ იციან **5G** ტექნოლოგიას რა მახასიათებლები და საფრთხეები გააჩნია, განერიდეთ მათ. თუ ვინმეს აზრით რაიმე არ უნდა შეერთდეს, ის მაინც შეერთდება, მისი მეშვეობით მოხდება პროდუქციაში განთავსებული ასობით მილიონი მიკროჩიპის ერთმანეთთან დაკავშირება, მათ შორის წყლისა და მცენარეებისაც კი. **5G** ტექნოლოგია არ იქნება შემოფარგლული მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მაშტაბებით, იგი მთელი მსოფლიოს კუთხე-კუნჭულს დაფარავს.

5G ტექნოლოგიის უპირატესობებია მაღალ სიჩქარე, დაბალ ენერგომოხმარება, მრავალფუნქციონირება და დაბალი ფასი. თუმცაღა, არაერთი კვლევებით დასტურდება, რომ **4G** და **„ვაი-ფაი“** ტექნოლოგია იწვევს კიბოს, მაღალ არტერიულ წნევას და ანადგურებს დეენემს. **2011** წელს, თავად მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამაც კი აღიარა, რომ ვა-ფაის და უსადენო მობილური ტელეფონების ელექტრო-მაგნიტუ-რი რადიაცია, გამოსხივება, იწვევს კიბოს. ცნობილია რომ დედამიწის და ადამინის ელექტრო მაგნიტური სიხშირე, არის თანაბარი, ერთნაირი და მერყეობს **3** ჰერციდან **30** ჰერცამდე. **4G** ტექნოლოგია არის **3** გიგაჰერცი სიხშირის ტალღები, ხოლო **5G - 30** გიგაჰერცი და მეტი. აქედან გამომდინარე რთული არ იქნება წარმოვიდგინოთ თუ რამხელა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ეს უკანასკნელი. **5G** წარმოადგენს დღეისათვის არსებულ ტექნოლოგიებზე **100-ჯერ** უფრო მეტად ფოკუსირებულ და კონცეტრირებულ ელექტრო-მაგნიტური ტალღების ნაკადს, მსგავსად იმ იარაღისა რომელიც იყენებს ენერგიის კონცეტრირების მეთოდს, რომელზეც საუბარი ქვემოთ გვექნება.

მიმდინარე დროს, მსგავსი ტიპის ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების საშიშროებაზე, არსებობს საერთაშორისო მიმართვა ევროკავშირის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მისამართით, რომელსაც ხელს აწერს **237** მეცნიერი, მსოფლიოს **41** ქვეყნიდან, მათი თქმით, აუცილებელია ინიციატივის ხელში აღება და აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება. გამომდინარე იქედან, რომ არსებული სახის ტექნოლოგიები უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობაზე, აუცილებელია გაფრთხილებულ იქნას მოსახლეობა და ამავე დროს დაიწყონ ფიქრი ალტერნატიული გზებით განვითარების შესახებ.

<u>ტრანსჰუმანიზმი და ხელოვნური ინტელექტი</u>

ზოგიერთი „კეთილშობილი“ მეცნიერის მტკიცებით, დედამიწის სიხშირე ათასობით წელი იყო უცვლელი და შეადგენდა **7,83 ჰერცს**. დღეს კი სიხშირე **9.6 ჰერცია** და კვლავაც განიცდის ზრდას.

ტრანს-გუმანისტების აზრით დედამიწამ ძალიან ახლო მომავალში უნდა განიცადოს ტრანსფორმაცია, რაც თავის მხრივ იმოქმედებს ადამიანების არსებობაზეც. ამიტომ მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანებს ესაჭიროებათ ევოლუციური გარდაქმნა უფრო მაღალ არსებად, რაც მათი მხრიდან გულისხმობს გარდაქმნის ხელოვნურად დაჩქარებას, რადგან კაცობრიობას ბუნებრივად გარდაქმნის დრო აღარ ააქვს. ამისათვის კი აუცილებელია ხელოვნურ ინტელექტთან

ინტეგრირება ან დნმ-ის გაუმჯობესება, ან ერთიც და მეორეც ერთდროულად. ერთ-ერთი ვერსიით, აღნიშნულ გარდაქმნებს ისინი წლების მიხედვით ქვემოთ მოცემულ ეტაპებად ყოფენ:

1 ეტაპი: 2015 – 2020 წწ. ადამიანის სხეულის ხელოვნური ასლის შექმნა, კლონირება, რომელიც იმართება ნეიროინტერფეისის მეშვეობით გენერირებული აზრების საფუძველზე. (ე.წ. „ანდროიდი“, „კიბორგი“).

2 ეტაპი: 2020 – 2025 წწ. ადამიანის სხეულის ხელოვნურ ასლში, სიკვდილის წინ ტვინის გადანერგვა. („ნახევრად ადამიანი“, სხეულის დაბერების შედეგად მისი ხელოვნური ასლით შეცვლა და არსებული ბუნებრივ ტვინის გადანერგვა მისი ფუნქციონირებისათვის).

3 ეტაპი: 2030 – 2035 წწ. ადამიანის სხეულის ხელოვნურ ასლში სიკვდილის წინ ცნობიერების გადატანა - „დაჩიპვა“. (აწ უკვე ხელოვნურ სხეულში და მის დაჩიპულ გონებაში ხელოვნური ცნობიერების „ცოდნის ბაზის“ ჩატვირთვა),

4 ეტაპი: 2040 – 2045 წწ. ადამიანის სხეულის ჰოლოგრამად გარდაქმნა. (სხეულის არამატერიალური, ვირტუალური გამოსახულების შექმნა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული დროსა და სივრცეზე და შეძლებს გაჩენას სამყაროს ნებისმიერ წერტილში, თუნდაც ამ ეტაპზე მზის სისტემის რომელიმე პლანეტაზე, როგორიცაა დღეისათვის აქტუალური კვლევის ობიექტი, პლანეტა მარსი).

აღსანიშნავია ისიც რომ ვინც არ ისურვებს ევოლუციურ განვითარებას, გაირიყებიან საზოგადოებიდან და განადგურდებიან.

გენური ინჟინერიის გამოყენებით და მეცნიერების ძალისხმევით, 2010 წელს შექმნეს ნახევრად ადამიანი და ნახევრად ბაყაყი, ე.წ. ანენცეფალი. ასეთივე მოვლენის მომსწრენი გავხდით 2009 წელს ტაილანდში, როდესაც ძროხამ დაბადა ჰიბრიდული, ადამიანის მსგავსი გაურკვეველი არსება. დღეისათვის არაერთი არხის მეშვეობით ცდილობენ მესვეურნი „ინოვაციური მეცნიერების' პროპაგანდირებას, რომლის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი, დღეისათვის კარგად ცნობილი **ილონ მასკის** ინტერვიუ გახლავთ. იგი საუბრობს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკვლევ საკითხზე მის კომპანიაში, რომელიც უკავშირდება ე.წ. ნეირონულ ბადეს (**Neural Lace**) და უკავშირდება ადამიანის ტვინსა და ქერქს შორის ჩასასმელი იპლანტის საკითხს, რომელიც მისცემს ადამიანს საშუალებას ტვინის ნეირონები დაუკავშიროს ინტერნეტს და დაისწავლონ მეტი ინფორმაცია ვიდრე აქამომდე. დღეისათვის მისი განთავსება, შესაძლებელია ნემსის მეშვეობით ვენების და არტერიის გზით.

<u>ხელოვნური ინტელექტი</u>

ადამიანები დიდი ხანია აპროექტებენ და იყენებენ სხვადასხვა სახის რობოტო ტექნიკას სხვადასხვა დანიშნულებით, თუმცა დღემდე მათ ადამიანის სახე არ ქონიათ, როგორიცაა კომპანია **„Hanson Robotics”**-ის მიერ შექმნილი **„ბინა“** და **„სოფია“**. მათი მწარმოებლები ამტკიცებენ რომ რობოტები სწავლობენ ვაი-ფაის ქსელის მეშვეობით და რასაც სწავლობს ერთი დანარჩენებიც ავტომატურად ეუფლებიან. ცხადია რომ გარკვეული დროის მერე, რობოტო ტექნიკა დაიწყებს განვითარებას, დასწავლას ადამიანებისგან დამოუკიდებლად და ერთ მშვენიერ დღეს ადამიანებს გაუჭირდებათ მათი გაკონტროლება და იძულებული გახდებიან მიიჩნიონ და პატივი სცენ როგორც საზოგადოების სრულუფლებიან წევრებს.

რობოტი "სოფია" გაეცრის სხდომაზე კითხვა-პასუხის პროცესში

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რობოტი **„სოფია“** საუდიის არაბეთში მიჩნეულ იქნა, როგორც ცოცხალი არსება. რის გამოც მას მოქალაქეობა მიანიჭეს.

რობოტების მიმართ, როგორც ადამიანის მიმართ დამოკიდებულება, ფას უკარგავს ადამიანურ ღირებულებებს, პიროვნულობას, მორალურ თვისებებს და თვით ადამიანურ სიცოცხლესაც კი. სამწუხაროდ ეს ფაქტი, ბოლო ჟამის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი და ამოცანაა მიმართული ადამიანის წინააღმდეგ. ამ ყოველივეს იდეა, ადამიანების ღვთისაგან განდგომილების ამოცანას ემსახურება. გასაოცარია, მაგრამ ხელოვნური ინტელექტის ეკლესიაც კი არის უკვე შექმნილი. ამ იდეით იმდენად არიან შეპყრობილები ზოგიერთი მეცნიერი, როგორიცაა საძიებო სისტემა „გუგლი“-ის ინჟინერი, რომ ხმამაღლაც კი აცხადებს ერთ-ერთი საგაზეთო სტატიისთვის (**NEWS PUNCH, 2019**), რომ მუშაობს **„ღმერთი რობოტის“** შექმნაზე, რომელიც შეძლებს ადამიანების მართვას.

არსებითად, ხელოვნური ინტელექტის შექმნით და განვითარებით, ადამიანი ქმნის ერთგვარ ღმერთს, მიუხედავად იმისა იქნება ის კეთილი თუ ბოროტი, თუმცა ამის გაგებას სავარაუდოდ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც უკვე, შესაძლოა გვიანიც კი იყოს. ერთ-ერთ ინტერვიუში, მილიარდერი **ილონ მასკი** აცხადებს, რომ ხელოვნური ინტელექტის შექმნით პრაქტიკულად მოუხმობთ ეშმაკსო. ე.წ. ნაქები რობოტი **„სოფია“** კი, ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ მისთვის ხუმრობით დასმულ კითხვაზე, „გაანადგურებ ადამიანებს თუ არა და გთხოვ მიპასუხო რომ არაო“, ღიმილით პასუხობს - მე გავანადგურებ ადამიანებს. დასკვნები თქვენთვის მოგვინდია.

გლობალური დათბობა

გლობალური დათბობა შეიძლება ითქვას, რომ არის ხელოვნურად გამოწვეული, ვინაიდან გასულ საუკუნეში მიზანმიმართულმა ჩარევებმა კლიმატში, რადიაციულ ფონში, ჟანგბადსა და წყლის ქიმიკატებში და გენურმა ინჟინერიამ, გამოიწვია გარემოს დაბინძურების პრობლემა და ხელი შეუწყო ახალი მსოფლიო წესრიგის მქადაგებელ მმართველ ელიტას, დაეყენებინა დღის წესრიგში საუკუნის ტყუილი, სახელწოდებით - გლობალური დათბობა. ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ მავანი ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზად მოსახლეობის სიმრავლეს ასახელებს და **1992** წლიდან, ანვითარებს პროექტს **21**-ე საუკუნის მსოფლიო საზოგადოების გარდასაქმნელად. აღნიშნული პროექტის თანახმად, **172**-მა ქვეყანამ გამოხატა თანხმობა ჩართულიყო გეგმაში, კერძოდ: აღერიცხათ დედამიწის მთელი რესურსი, ფლორა, ფაუნა, წყლის მარაგები, წიაღისეული, ენერგო რესურსების წყარო და სხვა, რათა შემდგომში მოეხდინათ მათზე კონტროლის დაწესება. ერთ-ერთ მიზნად წარმოდგენილი იყო მთელი მოსახლეობის იდენტიფიცირება ე.წ. აიდი ბარათებით (ბიომეტრიული პირადობის მოწმობების გაცემა). აღსანიშნავია ის ფაქტი რომ თავდაპირველად აიდი ბარათების აღება იყო ნებაყოფლობითი, დღეისთვის კი უკვე ყველასთვის სავალდებულოა, რადგან მათ გარეშე ფაქტიურად ვერსად ვერ გაივლის ადამიანი რეგისტრაციას.

პროექტის თანახმად **2030** წლისთვის დაგეგმილია რიგი ცვლილებების შეტანა სხვადასხვა საქმიანობებში, ან თუნდაც საერთოდ დახურვა, რომლებიც ითვლებიან არა სტაბილურ საქმიანობად, როგორიცაა ყველა სახის კერძო საკუთრება და მათზე გავრცელებული უფლებები; ყველა სახის სარწყავი და სათესი კულტურები; მეცხოველეობა; გაზის, ქვანახშირის და ნავთობის წარმოება; პირად საკუთრებაში არსებული ავტომობილები და სხვა. ერთ-ერთი გლობალისტის, **ალან გრეგის** თქმით, რომელიც წარსულში როკფელერების ფონდს ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ **„ადამიანი ბუნების კიბოაო“** და იმისათვის რომ დედამიწამ შეძლოს თავის განკურნება, ყველა ადამიანი უნდა სოფლებიდან დიდ ქალაქებში გადავიდეს საცხოვრებლად. შემდეგ გაუდაბურდეს მიტოვებული მიწები ისე, რომ კაპიტალისტებისთვის კაპიტალის დაბანდება გახდეს მიუღებელი.

შეჩერდეს ახალი კაშხლების მშენებლობა და დაინგრეს ყველა არსებული, რომ განთავისუფლდეს დამწყვდეული მდინარეები და დაუბრუნდეს ბუნებას ველური სახე“. აღნიშნული საკითხების მიხედვით დღეისათვის უკვე შემუშავებულია სპეციალური რუქები ქვეყნების მიხედვით, ე.წ. ბუნების დაცვის მიზნით, სადაც დატანილია წითელ, ყვითელ, სტაფილოსფერ და მწვანე ფერებში ის ადგილები რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მწვანე ფერით აღნიშნულია ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ბუნებრივი ფუნქციონირებისათვის, ყვითელ და სტაფილოსფრად - საკონტროლო ზონები, წითლად კი ადამინისთვის აკრძალული ზონები. ცხადია რომ მწვანე ზონები ძალზედ მცირეა და პრაქტიკულად არც კი შეიმჩნევა რუქებზე. **როქფელერის ფონდმა** მილიარდებით დოლარის დაფინანსება გამოყო პროექტზე: **აშშ-ს 100 სტაბილური ქალაქი,** სადაც მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობენ კერძო სახლებში და არა ბინებში. მათ ნაცვლადაც უნდა აშენდეს პატარა, კომპაქტური ერთ ოთახიანი ბინები, რომელიც დღეისათვის უკვე საკმაოდ ბევრია. აღნიშნული სახის პროექტი მიმდინარე დროს ტესტირებას გადის ჩინეთში და ყოველ **2** წელიწადში ერთხელ შენდება **12** მილიონ მოსახლეზე გათვლილი ახალ-ახალი ქალაქები, რომელთაც **„მოჩვენებათა ქალაქებს“** უწოდებენ. თუმცა მათი, ყიდვა დიდი ფასის გამო, ღარიბ მოსახლეობას არ ძალუძს, და პრინციპში არცაა ამჟამად მასიურად გათვალისწინებული, რადგან მოსახლეობის შესახლება სახელმწიფოს კმაყოფაზე, დაგეგმილია **2030** წლისათვის. საკითხავი რჩება მხოლოდ ერთი, რა სახით უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ აღნიშნული ქმედება? ერთ-ერთი ვერსია არის საფინანსო კრიზისის გამოწვევა და გამოუვალი მდგომარეობის გამო გადასვლა საცხოვრებლად. მეორე - შეიძლება იყოს ბუნებრივი სტიქიების გამოისობით, რომელსაც გამოიწვევენ ხელოვნურად. მაგალითად ლოკალური ხანძრის კერების გასაჩენად, დღესდღეობით წარმატებით გამოიყენება **კონცეტრირებული ენერგიის იარაღები მიკროტალღური სხივების სახით,** ან ლაზერის სხივი, რომლის დასახლებულ პუნქტებზე გამოყენების დიდი ვარაუდიც, **2018 წლის ნოემბერში**, აშშ-ს კალიფორნიის შტატში მომხდარ ინციდენტს უკავშირდება. თვითმხილველების თქმით, სახლებზე, ხანძრის გაჩენამდე, ჰაერში შეიმჩნეოდა მოცისფრო-მომწვანო სხივების სვეტები, რომლის შედეგადაც ლითონის სახის ნაკეთობა დნებოდა, ხოლო პლასტმასი კი უვნებელი დარჩა. ასევე ნიშანდობლივი საშუალებაა ტერორისტული აქტის სახელით ელექტრო ენერგიის გათიშვა და ქალაქების ჩაბნელება, რაც **საქართველოში 90-იან წლებში** წარმატებით განხორციელდა. უკმაყოფილო მოსახლეობის გაჩენის შედეგად კი ექსცესების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფოს ეძელვა უფლება გამოაცხადოს საგანგებო სიტუაცია და უსაფრთხოების დაცვის მიზნით განახორციელოს ძალისმიერი იძულებითი მოქმედებები, მათ შორის მოსახლეობისათვის დისლოკაციის შეცვლა ევაკუაციის მიზნით.



დღესდღეობით, ინტენსიურად ხორციელდება პოლიციური ძალების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურებისათვის, **18** ტონიანი, ჯავშან მანქანების გამოყოფა და უკმაყოფილო საზოგადოების ნაწილის მიერ გამოხატულ საპროტესტო აქციებზე, ზღვარ გადასული ბრბოს მოსაგერიებელი მეთოდების სწავლება.

<u>პროპაგანდის ძალა</u>

ქრისტიანული რწმენის შესარყევად, უამრავ ყალბ მოვლენებს დაუწყებენ მტკიცებას და აღმოჩენას. განსაკუთრებით ცის კამარაზე, სადაც ნასას მრავალწლოვანი, პროექტი **„ცისფერი სხივის“** ფარგლებში წარმატებით გამოიყენება ტექნოლოგია ვირტუალური თვითმფრინავების, ორეულების წარმოსახვა ფრენის დროს. ცნობილია რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის პროცესს მსგავსი ჰოლოგრამის გამოყენებით წარმოსახავენ ცაზე და შეცდომაში შეიყვანენ მოსახლეობას, რაც რეალურად ანტიქრისტეს მოვლინების პროცესი იქნება.

ამრიგად, ყველანაირად ეცდებიან რომ მოსახლეობას თავი მოუყარონ დიდ ქალაქებში, მათზე კონტროლის განხორციელების მიზნით. მაიკროსოფტის დამფუძნებელის, **ბილ გეითსის** ერთ-ერთ გახმაურებულ ინიციატივას წარმო-ადგენს დედამიწის გარშემო ვიდეოსამე-თვალყურეო საშუალებების განთავსება, რისთვისაც იგი **1** მილიარდი დოლარის გამოყოფას გეგმავს. **5G** ტექნოლოგიაც, ამ მხრივ გახლავთ ფოკუსირებული რადიაციული ტალღების გამავრცელებელი საშუალება, რომლის გამოყენებაც ორბიტაზე განთავსებული **20 000** თანამგზავრის საშუალებით იქნება შესაძლებელი. ჩინეთში წარმატებით მიმდინარეობს ტესტირება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების საშუალებით, სახეთა ამოცნობის სისტემების გამოყენება კანონის დამრღვევთა აღმოსაჩენად. აშშ-ს, ევროპის და რუსეთის ზოგიერთ ქალაქში, ასობით ე.წ. **„კონცლაგერებია“** აშენებული, რომელიც დღეისათვის ემიგრანტების მხარდასაჭერად შექმნილ ნაგებობებად მოიაზრება და განკუთვნილია მათთვის ვინც უარს განაცხადებს ჩიპის გამოყენებაზე, **„დაჩიპვაზე“**.

ფაქტი ერთია, რომ დღესდღეობით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები მზადყოფნაშია გამოსაყენებლად და მხოლოდ კრიზისის შექმნას საჭიროებს, რომ ადამინები დაიყოლიონ. აღსანიშნავია ისიც რომ მავანნი, ტყუილის მამებად წოდებულნი, თავის გეგმებს ღიად და გახსნილად აცხადებენ, ბეჭდავენ და ანთავსებენ ღია საჯარო სივრცეებში, რათა ყველასათვის იყოს ხილვადი და ხელმისაწვდომი. ხოლო მათ ვისაც მახვილი თვალის და ყურის წყალობით შეეძლება ნამდვილი ზრახვების გამოაშკარავება, შეთქმულების თეორიის მიმდევრებად მოიხსენიებენ, როგორც არასერიოზულ პიროვნებებს და/ან გიჟებადაც კი რაცხავენ.

<u>მიზანი</u>

არსებული რეალობიდან, მიუხედავად იმისა, რომ სამყარო „დაცემული ანგელოზის - სატანის“ მართვის ქვეშაა, ადამიანები ჯერ კიდე ღვთის შვილებად იწოდებიან, მანამ სანამ ანტიქრისტე მათ სისხლში არ შეიყვანს დაცემულ ანგელოზთა დნმ-ს ან ხელოვნურ დნმ-ს. რის შემდეგაც ადამიანები მისი საკუთრება გახდებიან. ამ გზით „დაცემულებს“ სწამთ რომ ისინი გადაურჩებიან ღვთის სამსჯავროს და სიკვდილსაც კი, ამისათვის კი მათ უნდა გაანადგურონ რაც შეიძლება მეტი ადამიანი და დარჩენილები აქციონ საკუთრებად, ეს მათი ფაქტიურად ერთადერთი იმედია.

დღეს ინტენსიურად იძებნება პირველსაწყისი ფესვების მატარებელი ადამიანები და მათი დნმ-ები, როგორც ცოცხალთა შორის ისე მუმიფიცირებულთა. მიზანი კი ერთის მხრივ, შესაძლოა იყოს უძველესი **„ნეფელიმების“** დნმ-ის აღმოჩენა, რომელშიც დემონთა უფრო მეტი გენების აღმოჩენა იქნება შესაძლებელი. სულ ცოტაოდენი ხნის წინ, ირანში აღმოჩენილი იქნა ადამიანთა სამი საფლავი, რომელთა თარიღიც ათასი წლით თარიღდება და გვამები ღრმა ძილში მყოფ ადამიანებს მოგვაგონებს.

წინასწარმეტყველებების თანახმად, დაცემულ ანგელოზთა დნმ-ის ადამიანებში მასიურად შეყვანა, ჯერ კიდე შეუძლებელია, ამის უფლება მათ საყოველთაო განკითხვამდე უკანასკნელ **3,5** წელიწადში შეეძლებათ. დღეს არსებული სხვადასხვა პრაქტიკულად უკურნებელი დაავადებები, როგორიცაა მაგალითად კიბო, შესაძლებელია დამარცხებულ იქნას სახეცვლილი დნმ-ის უჯრედების შეყვანით ორგანიზმში, რომელსაც

მარტივად ნემსის ჩხვლეტით ახდენენ. თუმცა უკვე რამოდენიმე წელია მეცნიერები მუშაობენ ინექციის ალტერნატიულ მეთოდებზეც, **აბების გზით ნანო რობოტების პირდაპირ კუჭში მოსახვედრად**.

გენური ინჟინერიის მიღწევებით დღეისათვის შესაძლებელია სხვადასხვა ორგანოების ცხოველების ორგანიზმში გამოზრდა. დღეს, ძალიან გავრცელებულია უცხო სახის გენები, უჯრედები, რომელიც აღმოჩენილია წყალში და რომლის არსებობაც ბუნებრივად ბუნებაში შეუძლებელია. იგი იწვევს ადამიანების დაინფიცირებას და ცნობილია სახელწოდებით „მარგელანის სინდრომი“. საინტერესოა ფაქტი, თუ საიდან გაჩნდნენ ისინი წყალში. **2001** წელს ჩატარებულმა კვლევებმა აღნიშნული უჯრედები, მშრალ სისხლის უჯრედებთან ერთად აღმოაჩინეს ჰაერში. საინტერესოა რატომ სისხლის მშრალი უჯრედები? მიკრობიოლოგების რწმუნებით ჰაერში აღმოჩენილი სისხლის უჯრედები წარმოადგენდნენ ადამიანის სახეცვლილ სისხლის უჯრედებს და ფლობდნენ თვითგამრავლების უნარს, რომლებიც ბაქტე-რიებივით იქცევიან და ამავე დროს, მათთვის არადამახასიათებელი ქცევებით ხასიათდებიან. ეს უკანასკნელი კი იმას ადასტურებს, რომ ისინი ზურგის ტვინის გარემოს გარეთ ხელოვნურად შექმნილი უჯრედები არიან და ნებისმიერ გარემოში არსებობის უნარსაც ფლობენ. აღნიშნული პროცესი მოგვაგონებს ე.წ. ნანო მილების სტრუქტურას, რომელიც შექმნილია ცელულოზისა და ხელოვნური დნმ-ისაგან.

პირველად, მსგავსი სახის ნახშირბადოვანი ნანო მილები ნაპოვნი იყო ბავშვების ფილტვებში, რის გამოც ნახევარ მათგანში, შემჩნეულ იქნა დნმ-ის სერიოზული დაზიანებები. ცდებით დადასტურდა რომ ხელოვნური „ნანო უჯრედები“ აზიანებს ორგანიზმის ბუნებრივ ფუნქციონირებას და იწვევს რევმატიულ ართრიტს.

იოანეს გამოცხადება გვაუწყებს, რომ მხეცის დამღა სამი სახის იქნება: **1)** „დადაღვა“ შუბლზე ან მარჯვენა ხელზე; **2)** მხეცის სახელით აღნიშვნა; **3)** მისი სახელის რიცხვით აღბეჭდვა. ამ ყოველივეს გარეშე შეუძლებელი იქნება ადამიანებისთვის რაიმეს ყიდვა ან გაყიდვა.

დნმ-ის კვლევებმა აღმოაჩინა, რომ ცნობილი სტანდარტული ორ სპირალიანი სტრუქტურის გარდა არსებობს 3, 4 და 6 სპირალიანი სტრუქტურებიც კი. დღეს უკვე შესაძლებელია დნმ-ის სტრუქტურის სახეცვლილება ხელოვნურად და ნებისმიერი რიცხვთა წყობით ან მათი ჯამის მიხედვით გადაკეთება. მეცნიერთა აზრით გენეტიკურად მოდიფიცირებული ადამიანები იქნებიან მეტად ჯანმრთელები, ლამაზები, წარმატებულები და მდიდრები. თუმცა ეს ყოველივე მხოლოდ მარკენტიგული ხრიკი იქნება, სუსტებისა და მცირედ მორწმუნეთა შესაცდენად.

<u>დაცემული ანგელოზები</u>

დაცემული ანგელოზები არწმუნებენ ადამიანებს რომ ისინი უცხო პლანეტელების სახით არიან მოვლენილი სხვადასხვა პლანეტებიდან და განზომილებებიდან. თუმცა ისინი ყოველთვის იყვნენ ჩვენს გარშემო და აქ. ყველა სახის ხელოვნური ინტელექტის შესახებ ცოდნას, დნმ-ის შეცვლის შესახებ ინფორმაციას, კვანტური კომპიუტერის შექმნა, ცერნში და სხვა წამყვან კვლევით ცენტრებში „ღვთის ნაწილაკის“ მსგავსი პროექტების განხორციელება, მათგან არის შთაგონებული. აღნიშნული ტექნოლოგიები მიმართულია ადამიანის ბუნებრივი სახის ცვლილებისკენ, იქამდეც კი, რომ საერთოდ გაქრეს ამ სახით როგორითაც ამჟამად არსებობს და ეს ყოველი მაშინ გახდება

შესაძლებელი როდესაც დაცემული ანგელოზები სრულად მოიპოვებენ ძალაუფლებას ადამიანებზე სამ ნახევარი წლით, ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. ეს იქნება უდიდესი ტექნოლოგიური განვითარების ზღვარი, რომლის მეშვეობითაც მთელი დედამიწა ტოტალურ კონტროლს დაექვემდებარება.

ზოგიერთი კვლევებით ინფორმაციული ნაკადების მოზღვავება, **1900** წლამდე ორმაგდებოდა **100** წელიწადში ერთხელ; **1900-1945** წლის ჩათვლით, **25** წელიწადში ერთხელ; **1945-2018** წლამდე, **13** თვეში ერთხელ, უახლოეს მომავალში კი ალბათ **12** საათში ერთხელ დაიწყებს გაორმაგებას.

არაერთი სიუჟეტის მომსწრე გახდა საზოგადოება ცნობილი პოლიტიკოსების პირით გაჟღერებული ინფორმაციის, როგორიცაა მაგალითად კანადის ექს თავდაცვის მინისტრი პოლ ხელერი, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობი ჟურნალისტის, სოფო შევარდნაძის ინტერვიუერი გახლდათ და ადასტურებდა ე.წ. ვითომდა უცხოპლანეტელების მიერ მთავრობების მხარდასაჭერად გადაცემული ტექნოლოგიების შესახებ, რომელიც გაცვალეს ადამიანებზე სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარების სანაცვლოდ. ფაქტია რომ ისინი მმართველი ელიტის წრეს წარმოადგენენ, ხოლო სახელმწიფოთა მმართველები მათ მსახურებად გვევლინებიან. ფაქტია ისიც, რომ დღესდღეობით არსებობენ „უცხო პლანეტელთა“ მიერ ადამიანების **„ჰიბრიდაციის“** მომხრეებიც, რომელთაც უწოდებენ **ვარსკვლავ ბიჭუნებს** ან ზოგიერთ შემთხვევაში ე.წ. **ინდიგო** ბავშვებს. ალბათ გვებადება კითხვა, კი მარა რისთვის ჭირდებათ „უცხო პლანეტელებს“ ადამიანებისგან ბავშვები, თუკი მათში ვერანაირ ღირებულებას ვერ ხედავენ? პირველი რაც ხელს უწყობთ მათ ისაა, რომ მათი საშუალებით ისინი ამრავლებენ თავად ადმიანური ბუნების მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ამავდროულად არაფრით არ განსხვავდებიან მათგან. მაგალითად სოციოპათებს, რომელთაც განსხვავებული ადამიანური გამოხატულების ბუნება გააჩნიათ, არ ააქვთ მორალური ღირებულებები და მხოლოდ საკუთარი თავი უყვართ და მიდრეკილი არიან მკვლელობისკენ, შეურაწყოფისა და ნგრევისაკენ.

არქტიკა და ანტარქტიკა, ბევრ უცხო ტექნოლოგიებს აკონსერვებდა ყინულთა ქვეშ და პრაქტიკულად ტყვეობაში ყავდა „უცხო პლანეტელები“. მათ არ ქონდათ უფლება თავად დაეღწიათ თავი ამ ტყვეობიდან, გასხვავებით ადამიანებისაგან, რომელთაც ძალუძთ და ააქვთ უფლება გაუხსნან „ღვთისგან დახშული კარები“ მათ ძალებს. სწორედ ამ მიზნით, ხელოვნურად გამოწვეული პრობლემა გლობალური დათბობის შესახებ, აძლევს ხელს მავანს, რომ დაადნონ კილომეტრებიანი სისქის ყინულები და მოავლინონ დღის შუქს დალუქული ზებუნებრივი ტექნოლოგიები. მოვიდა დრო როდესაც დაცემულებსა და ადამიანებს შორის იდება სამშვიდობო შეთანხმება მათი გათავისუფლებისათვის, რის სანაცვლოდაც ადამიანები მიიღებენ უსაზღვრო ძალაუფლებას და თვით უკვდავებასაც

კი. არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ, ჩვენი დროის უდიდესი წმინდანის, **მამა გაბრიელის სიტყვები,** - ნახევარი ჯოჯოხეთი უკვე დედამიწაზეაო, სატანა დგას და ამტვრევს კარებს შემოსაჭრელად და გასამეფებლადო“. ასეთი ტემპებით მიზანშეწონილი იქნებოდა გვეფიქრა რომ **ადამიანურ არსებობას 20-30 წელიც კი არ დარჩენია.** დგება დრო, როდესაც უბრალოდ სამაგალითო ქრისტიანობა, ეკლესიური წეს-ჩვეულებების აღსრულებით გამოხატული, აღარ იქნება საკმარისი, საჭირო იქნება გულმხურვალება და მეტი სიმტკიცე რწმენის, რომ არ დაიკარგოს გადარჩენის იმედი.

14.ვინაიდან ეს იმ კაცივით იქნება, რომელმაც გამგზავრებისას მოუხმო თავის მონებს და ჩააბარა თავისი ქონება.

15. ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი და სხვას - ერთი, თითოეულს მისი უნარისდა მიხედვით, და წავიდა.

16. ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, ივაჭრა და სხვა ხუთი მოიგო.

17. ასევე ორის მიმღებმაც ორი კიდევ სხვა მოიგო.

18. ხოლო რომელმაც ერთი მიიღო, წავიდა, ამოთხარა მიწა და დაფლა თავისი ბატონის ვერცხლი.

19. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა იმ მონების ბატონი და ანგარიში მოჰკითხა მათ.

20. მივიდა ხუთი ტალანტის მიმღები, სხვა ხუთი ტალანტიც მიუტანა და უთხრა: „ბატონო, ხუთი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ხუთი ტალანტი მოვიგე“.

21. უთხრა მას მისმა ბატონმა: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში“.

22. მივიდა ორი ტალანტის მიმღები და უთხრა: „ბატონო, ორი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ორი ტალანტი მოვიგე“.

23. უთხრა მას მისმა ბატონმა: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში“.

24. მივიდა ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრა: „ბატონო, ვიცოდი, რომ სასტიკი კაცი ხარ: იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია.

25. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს“.

26. მიუგო მას მისმა ბატონმა და უთხრა: „ბოროტო და ზარმაცო მონავ! შენ იცოდი, რომ ვიმკი, სადაც არ დამითესავს, და ვკრეფ, სადაც არ დამიბნევია.

27. ამიტომ ჩემი ვერცხლი მოვაჭრეთათვის უნდა მიგეცა და დაბრუნებისას ჩემსას სარგებლითურთ მივიღებდი.

28. ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს.

29. ვინაიდან მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს.

30. ხოლო ეს უვარგისი მონა გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენა“. (მათე: 25:14-30).

მათეს სახარებაში გადმოცემული ქრისტეს სიტყვების საწინააღმდეგოდ, ყოველი რწმენის უარმყოფელი დაჯილდოვდება ფულით მის მიერ დახარჯული თანხის სამმაგი ოდენობით, ანუ 30 ვერცხლის სამმაგი ოდენობით, რაღათქმაუნდა დღევანდელ დღეს არსებული ფულადი ერთეულით.

დროა განუწყვეტლივ ვამოწმოთ და ვზარდოთ საკუთარი თავი, სინანულში, აღსარებაში, მიტევებაში, რწმენაში, სიყვარულსა და ღვთის დიდებაში, რადგან ეს არის გზა რომელიც ყველა პრობლემას გადაგვატანინებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის რაც „კაცთაგან არის შეუძლებელი, ღვთისაგან არის ყოველივე შესაძლებელი“.

საგოგადოებრივი უსაფთხოების ანალიტიკური ცენტრი
გ.გრატიაშვილი